



## ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

### გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №24

2012 წლის 9 მარტი  
ქ. ქობულეთი

#### ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა №299-ის მოპირდაპირედ 653.0 კვ.მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო საწყისი ფასის განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ქ.ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა №299-ის მოპირდაპირედ 653.0 კვ.მ. (ს/კ №20.42.03.245) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო საწყისი ფასი განისაზღვროს 13634.64 (ცამეტი ათას ექვსას ოცდაათოთხმეტი ლარი და 64 თეთრი) ლარის ოდენობით.

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ქ.ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა №299-ის მოპირდაპირედ 653.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შემდგომი განკარგვის მიზნით იმოქმედოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ეზაგრატიონი).

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნ. ბერაძე

